

ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაში

ჩართული მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული

განვითარების კვლევა

გვანცა გოგოლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გიორგი გახელაძე, მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2017

წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გვანცა გოგოლაძე

26/06/2017

სარჩევი

სარჩევი	2
აბსტრაქტი.....	3
საკითხის აქტუალურობა	7
კვლევის მიზანი.....	8
საკვლევი კითხვები.....	9
ჰიპოთეზები	9
ლიტერატურის მიმოხილვა.....	10
ორი სამიზნე უნივერსიტეტი	25
კვლევის მეთოდოლოგია	26
კვლევის შეზღუდვები	27
ინტერვიუ ილიას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების ქართულ ენაში მომზადების პროგრამის მენეჯერებთან.....	28
ფოკუს ჯგუფები მასწავლებლებთან.....	50
ჩაღრმავებული ინტერვიუები მასწავლებლებთან და მენტორებთან, გამოკითხვის შედეგები.....	57
დასკვნები	88
რეკომენდაციები	93
ბიბლიოგრაფია	98
დანართი #1.....	101
დანართი #2.....	102
დანართი #3.....	104

აბსტრაქტი

ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებას საქართველოში ხანმოკლე ისტორია აქვს და ის ამ ეტაპზე განვითარების პროცესშია. აქედან გამომდინარე, ქართულის, როგორც უცხო ენის სწავლების საკითხი აქტუალურია.

თბილისის ილიას და ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტების ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კვლევის თემას წარმოადგენდა მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების შესწავლა. კვლევის მიზანი იყო ერთის მხრივ დაედგინა, რა მხარდამჭერი აქტივობებია შემოთავაზებული პროგრამის ადმინისტრაციის მხრიდან და მეორეს მხრივ, გამოეკვეთა ის ფაქტორები, რაც მასწავლებლებს უბიძგებს ან ხელს უშლის პროფესიული განვითარების აქტივობებში ჩართვისკენ.

კვლევისათვის არჩეულ იქნა თვისებრივი კვლევა. ჩატარდა ფოკუს ჯგუფები მასწავლებლებთან, ჩარღმავებული ინტერვიუები მენეჯერებთან, მენტორებთან და მასწავლებლებთან და გამოკითხვა მასწავლებლებთან, რომლის მეშვეობითაც მოხდა გამოკვეთილი პრობლემის შესწავლა.

ილიას უნივერსიტეტის პროგრამის ადმინისტრაცია მასწავლებელთა განვითარებაზე ორგანიზებულად ზრუნავს და აქვს შემუშავებული სისტემა, რის მიხედვითაც უწყვეტად ხდება მასწავლებელთა მონიტორინგი, თანამშრომლობა, გაკვეთილების განხილვები, სიახლეების ჯერ სტრუქტურული დამუშავება და შემდგომ მათი განხორციელება, უკუკავშირი და რეფლექსია. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამის ადმინისტრაცია კი მასწავლებლებს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს სთავაზობს, მათი უმეტესობა დონორების და არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებით ხორციელდება. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სტრუქტურული სისტემა უშუალოდ პროგრამის შიგნით არ არის გამოკვეთილი, ხშირ შემთხვევებში მასწავლებლები ინდივიდუალური ძალისხმევით ახდენენ განვითარებას.

ილიას უნივერსიტეტის მასწავლებლების დამოკიდებულებები პროფესიული განვითარების აქტივობების მიმართ პოზიტიურია, ბევრი მათგანი აღიარებს მათ მნიშვნელობას და აღნიშნავს, რომ აქტიურად არის ჩართული პროფესიულ განვითარებაში, უმეტესად ორგანიზაციის შიგნით. ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში მასწავლებელთა დიდი ნაწილის გამოცდილება 16 და მეტ წელს ითვლის. აღმოჩნდა, რომ პროფესიული განვითარების აქტივობების მიმართ მათი დამოკიდებულება ცალსახად პოზიტიური არ არის და მასწავლებელთა გარკვეული ნაწილი თვლის, რომ ისინი არ არის აუცილებელი მათთვის, თუმცა ჩართულნი არიან სხვადასხვა აქტივობებში.

კვლევა მნიშვნელოვანი აღმოჩნდა იმ კუთხით, რომ გამოკვეთა მთლიანი სურათი, რაც ამჟამად ილიას და ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტების აღნიშნულ პროგრამებზეა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კუთხით. კვლევამ ასევე გამოავლინა საჭიროებები და მათი კავშირი მასწავლებელთა წამახალისებელ და მამოტივირებელ ფაქტორებთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მენეჯერები, მასწავლებლები, პროფესიული განვითარების აქტივობები.

Abstract

Teaching Georgian as a second language has a short history and nowadays it is going through its development process. Hence, teaching Georgian as a second language is essential.

The purpose of the research was to study teachers' continuous professional development which was conducted at Tbilisi Ilia and Ivane Javakhishvili State Universities under Georgian Language Preparation Educational Programme. On the one hand, the research aimed at identifying what type of teacher development programmes are offered by the administrators of the target universities and, on the other hand, to identify the factors, which prevent or encourage teachers' participation in these programmes.

The qualitative method was used for the study. There were conducted focus groups with the teachers. There were also conducted in-depth interviews with the programme managers, mentors and teachers. At the same time, the teachers were delivered survey questions that also revealed their attitudes towards professional development activities.

At Ilia State University the programme administrators have well-structured professional development system, which includes wide variety of activities such as collaboration, group meetings and discussions, mentoring course, planning and delivering renewed courses, monitoring, feedback and reflection. Ivane Javakhishvili state university management also offers different kind professional development activities to their teachers. However, these initiatives are offered through donor and non-governmental organisations, which are more outside help, rather than the program initiative. Regarding structured, continuous professional development system inside the programme, we would like to mention, that it is rather weak and the teachers gain skills and experience mostly through their individual motivation and determination.

The study revealed that Ilia State University teachers demonstrate positive attitude towards professional development activities. Many of them emphasize the importance of professional development and are involved in the activities that help them grow professionally. At Ivane Javakhishvili State University, the majority of teachers have more than 20 years of teaching

experience. The study showed that their attitudes towards professional development activities are not always positive; some of them expressed the opinion, that professional development activities are not greatly important. However, many of the mentioned they are involved in professional development.

The study was important because it displayed overall picture of the programmes running at Ilia and Ivane Javakhishvili State Universities regarding teachers' continuous professional development. The research also highlighted the needs that the teachers face today and their connection with the factors that motivate teachers to participate in professional development activities.

Key words: Georgian Language Preparation Educational Programme, Ilia State University, Ivane Javakhishvili State University, managers, teachers, professional development activities.